



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება: **ბ49. 49230373**

თარიღი: **06/02/2023**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივადის 2023 წლის 3 თებერვლის N48-482303482 წერილი, რომლითაც მერი შემოდის წინადადებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხი არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხი, რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ განხილვას, ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2023 წლის 7 თებერვალს, 13 : 00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

ა) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს. რევაზ დიდავა/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

- ა) ბრძანების გამოქვეყნება;
- ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
- გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 12:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

